ინვესტიციების მნიშვნელობა ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში

აკაკი გვარუციძე, *სტუ-ს პროფესორი*
კარლო ღურწკაია, *სტუ-ს პროფესორი*
ზურაბ ჯორბენაძე, *სტუ-ს პროფესორი*

რეზიუმე

ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საინვესტიციო რესურსების არსებობა. ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობებისა და მათი ეფექტიანად გამოყენების მექანიზმების ჩამოყალიბება ნებისმიერი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის აქტუალობა კიდევ უფრო ძლიერდება საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში, ვინაიდან ინვესტიციების დაბანდების ეფექტიანობაზე დიდად არის დამოკიდებული ამ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების ბოლო პერიოდის სამეურნეო საქმიანობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სწორედ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დაისახეს, ვინაიდან სათანადო მოცულობით ინვესტიციების გამოყოფის გარეშე ყოველგვარი ინოვაციური იდეა, რაოდენ შთამბეჭდავიც უნდა იყოს იგი განუხორციელებელ ოცნებად დარჩებათ, რაც უფრო მეტი რაოდენობით გამოიყოფა ინვესტიციები ამ დანიშნულებით, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შემდგომი განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, საქართველოც არ უნდა დარჩეს ამ პროცესების მიღმა. ყველა სახელმწიფო, რომელიც იღებს ინვესტიციებს, უნდა ითვალისწინებდეს თავისი ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე მათი ზეგავლენის დადებით და უარყოფით ასპექტებს იმისათვის, რომ სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული.

Summary

The principal factor of national economic hard and safety development, populations living standards and quality improvement are investment resources. For any transformable economical countries development the important task for investment is favorable conditions and mechanisms forming for their efficient use. Investments problem actuality becomes even stronger in terms of the formation of market relations, since the efficiency of the investment depends largely on the social and economic progress in these countries, improving the wellbeing of the population.. Last period's Economical activities experience shows, that one of the principal task for hard social-economic development is foreign investments. Since any innovative idea, without proper investments allocation remains as unrealized dream. The more number of allocated investments creates favorable conditions for developing countries having transformable economic. Of course, Georgia should not be left behind this process. All state, which receives investments must foresee positive and negative aspects influence on countries economic and politics, in order to assure the interests of the state and its citizens.

****

ეროვნული ეკონომიკების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საინვესტიციო რესურსების არსებობა. ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობებისა და მათი ეფექტიანად გამოყენების მექანიზმების ჩამოყალიბება, ნებისმიერი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ინვესტიციებს, მათ შორის უცხოურსაც, დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის,

უცხოურ ინვესტიციად მიიჩნევა ისეთი კაპიტალდაბანდება სხვა ქვეყნის საწარმოს აქტივებში, თუ უცხოური ინვესტორის მფლობელობაში აღმოჩნდება საწარმოს აქტივების 10-25%. ასეთი ხვედრითი წილი არსებითია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდიკის მიხედვით უცხოურ ინვესტიციად ითვლება 25%-ზე მეტი წილის არსებობა წარმოებაში, მაშინ როცა აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით, წილის რაოდენობა შეადგენს არანაკლებ 10%-ს, ევროკავშირში 20-25%-ს, ხოლო კანადაში ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში 5-%-ს.

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ინვეს-

ტიციების მიმღები ქვეყნის ადგილობრივი ბაზარი, ეკონომიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობა უმნიშვნელვანესი ფაქტორებია უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. პრაქტიკულად უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის საყოველთაოდ აღიარებული პირობებია: ინვესტორისათვის მისაღები საკანონმდებლო ბაზა, კომუნიკაციები, სტაბილური მაკროეკონომიკური პირობები, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, პროტექციონიზმი და სხვ.

ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის აქტუალურობა კიდევ უფრო ძლიერდება საბაზრო ურთიერთობათა განვითარების პირობებში, ვინაიდან ინვესტიციების დაბანდების ეფექტიანობაზე დიდად არის დამოკიდებული ამ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების ბოლო პერიოდის სამეურნეო საქმიანობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახეს სწორედ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მათ ამ ამოცანის გადაწყვეტაში ხელი შეუწყვეს განვითარებულმა ქვეყნებმა, როგორც მსხვილმა დონორებმა, რომლებიც არა მხოლოდ მაღალი შემოსავლის მიღებით არიან დაინტერესებულნი, არამედ საწარმოზე კონტროლის დაწესებით და პერსპექტიული მომგებიანი ბაზრების ათვისებით მასპინძელ ქვეყნებში.

კაპიტალის რეციპიენტი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველაზე ეფექტურია უცხოური ინვესტიციები, რამდენადაც სწორედ ისინი იძლევიან არა მარტო დამატებითი ფინანსური რესურსების მიღების საშუალებას, არამედ ხელს უწყობენ მმართველობითი და საწარმოო ჩვევებისა და ტექნოლოგიების ათვისების ინოვაციურ განვითარებას. ინვესტიციების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში მხოლოდ იმ ქვეყნებში იქნება მაღალი, სადაც განათლების დონე შესაბამის მოთხოვნებს აკმაოფილებს. უცხოურ ინვესტიციებს მიმღებ ქვეყნებში ისეთი სიახლეები და ინსტრუმენტები შემოაქვს, რომლებიც არ ახასიათებს ადგილობრივ წარმოებას, მათ შორისაა ახალი მაღალი ტექნოლოგიები, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვ. სწორედ ამის გამო პროდუქტიულობის მაღალი მაჩვენებლები დამახასიათებელია იმ კომპანიებისათვის, რომლებიც უცხოური ინვესტიციებითაა შექმნილი.

ინვესტიციების განთავსებისა და მისი დაცვის ნორმალური გარანტირებისათვის განსაკუთრებით სარგებლიანი პირობების შექმნა უცხოელი ინვესტორებისათვის შეძლეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, პირველ რიგში ჩეხეთმა, უნგრეთმა და პოლონეთმა. მათ უზრუნველყვეს პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ეროვნული ვალუტის მდგრადობა, მათ სრული კონვერტირებადობა. სწორედ ამიტომ უცხოელმა ინვესტორებმა ეს ქვეყნები შეიყვანეს კაპიტალის განთავსების პერსპექტიული ბაზრების რიცხვში, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მაღალი მოგების მიღება წარმოებისა და მასალების შედარებით დაბალ დანახარჯებით. შედეგად, პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი პირდაპირ უცხოური ინვესტიციების შემოდინების საშუალო წლიური მაჩვენებლის მიხედვით შევიდნენ მსხვილი ინვესტიციების მიმღებთა რიცხვში. 2006-2011 წლებში პოლონეთმა მიიღო 45,2 მილიარდი დოლარი ინვესტიციები, უნგრეთმა – 25,7 მილიარდი დოლარი და ჩეხეთმა - 36,8 მილიარდი დოლარი.[1]

ექსპერტთა აზრით, დაბალგანვითარებული ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური განვითარება უპირველესად გამოწვეულია სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით. ჩეხეთში ქვეყნის ექსპორტის თითქმის 70%-ს უზრუნველყოფენ ის საწარმოები, რომლებიც შექმნილია უცხოური კაპიტალის მონაწილეობით, რომლებიც ძირითადად შედიან გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ნიდერლანდებიდან. 2011 წლის მდგომარეობით უნგრეთში დარეგისტრირებული იყო 32 ათასამდე უცხოური კომპანია, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად მუშაობენ ექსპორტზე და უშვებენ ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის 2/3-ზე მეტს.

უცხოური კაპიტალის შემოდინების გაზრდა აღნიშნულ ქვეყნებში მოხდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა ინვესტორებმა. პრივატიზაცია წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას. ბევრი სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი საწარმო, რომელიც ცდილობს კაპიტალის, ტექნოლოგიისა და მმართველობის ერთიანობის სრულყოფას, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიმართავს, როგორც კერძო საწარმოების გადარჩენისა და განვითარების საშუალებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გარეშე წარმოუდგენელია მათი მუშაობის გაგრძელება. კაპიტალის დაქსაქსვა ხდება ახალი საწარმოების შექმნით, ან პერსპექტიული ადგილობრივი საწარმოების საკონტროლო პაკეტის შეძენით, რომელთა მოდერნიზება შეიძლებოდა მოკლე დროში ნაკლები დანახარჯებით.

უცხოური ინვესტიციების რეგულირების სისტემისათვის დამახასიათებელია თანასწორობა უცხოური მეწარმეებისა და ნაციონალური სამეურნეო სუბიექტებისათვის, რომლებიც მოქმედებენ საერთო ეკონომიკური კანონმდებლობის ფარგლებში და გააჩნიათ ფაქტობრივად ერთნაირი უფლებები და მოვალეობები. უცხოელი ინვესტორების საქმიანობა დასაშვებია ეკონომიკის ყველა სფეროში, ხოლო უცხოური კაპიტალის განთავსებაზე კონტროლი ხორციელდება, მხოლოდ სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებში. ზოგიერთ ქვეყანაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანების შემდეგ საჭირო გახდა ამ ქვეყნების ეროვნული საკანონმდებლო ნორმების აღნიშნული ორგანიზაციების სტანდარტებთან შესაბამისობა, რამაც გაამარტივა უცხოური კომპანიების

1 Аналитические обзоры ТИСИ, №3, М., 2011, ст. 52.

დაფუძნების პროცედურები და მათი ფუნქციონირების პირობები.

ინვესტიციების მზარდი ოდენობით შემოდინებას ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში ხელი შეუწყო მოქმედმა საგადასახადო შეთავათების მოქნილმა სისტემამ. უმთავრეს შეღავათს წარმოადგენს ინვესტირების საწყის ეტაპზე მინიჭებული საგადასახადო შეღავათი, რომელსაც მოჰყვება მომდევნო პერიოდი, როდესაც იხდიან ნორმალური განაკვეთის 50%-ს. მეწარმეთა კანონის თანახმად, ფირმები, რომელთა 25 პროცენზე მეტი, მაგრამ 80 პროცენტზე ნაკლები უცხოური ფირმის საკუთრებაა, სარგებლობენ ოთხწლიანი შეღავათიანი პერიოდით. უცხოურ მფლობელობაში მყოფი 80-99 პროცენზე მეტი ქონების მქონე ფირმისათვის შემუშავებულია დამატებითი პირობები. ისინი სარგებლობენ საწყისი საგადასახადო შეღავათიანი პერიოდით და შემდეგ ინვესტირებისას დაშვებული საგადასახადო შეღავათით, რომელიც ინვესტორის თანხის ტოლია და დაბერგილი შემოსავლის ანაზღაურებას ნიშნავს. ჩეხეთში ინვესტიციების სტიმულირების შესახებ კანონის თანახმად, ახალი კომპანიები მთლიანად თავისუფლდებიან მოგების გადასახადისაგან მაქსიმუმ 10 წლით, ხოლო მოქმედი კომპანიები ნაწილობრივ თავისუფლებიან მისგან იმავე პერიოდით. ამის გარდა, გამოიყოფა სახსრები სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კადრების სწავლებისა და გადამზადებისათვის, აუთვისებელი ტერიტორიების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვ.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სპეციალური ეკონომიკური ზონები, რომლებიც იყოფა რამდენიმე ტიპად: სამრეწველო პარკები, სამეწარმეო ზონები, თავისუფალი საბაჟო ტერიტორიები.

კომპანიები, რომლებიც ქმნიან თავიანთ წარმოებებს სამრეწველო პარკებში, ღებულობენ მომსახურების ფართო სპექტრს, მათ შორის, საბაზრო ინფრასტრუქტურასა და საერთო დანიშნულების მომსახურეობებს.

ინვესტორები სარგებლობენ მთელი რიგი საგადასახადო და საბაჟო შეავათებით. ასე მაგალითად, უნგრეთში ისინი მთლიანად თავისუფლდებიან ადგილობრივი გადასახადებისაგან 10 წლამდე ვადით, 50-100%-ით საბაჟო საურავისაგან იმპორტირებული საწარმოო დანადგარების შემოტანისას, ასევე მოგების გადასახადისაგან რეინვესტირებისას საწარმოების განვითარებისათვის. უნგრეთში მოქმედებს 180 სამრეწველო პარკი, რომელთა ნახევარი განლაგებულია მაგისტრალების სიახლოვეს. უნგრეთის სამრწეველო პარკების ტერიტორიაზე განლაგებულია 1000-მდე საწარმო, სადაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 110 ათას კაცს შეადგენს. სამრწეველო პარკებში განთავსებული საწარმოების სიმძლავრე ქვეყნის საწარმოო სიმძლავრეების 25%-ს შეადგენს. ისინი ექსპორტზე აგზავნიან თავიანთი პროდუქციის 80%-ს, რაც მთელი ქვეყნის სამრწეველო ექსპორტის 40%-ს შეადგენს. შრომის მწარმოებლურობა ამ ზონებში 70%-ით მაღალია ქვეყნის მრეწველობის საშუალო მაჩვენებელზე და მხოლოდ 15%-ით ჩამორჩება ევროკავშირის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ჩეხეთში სამრეწველო ზონებში მომუშავე კომპანიები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის, კადრების სწავლებისა და გადამზადებისათვის. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები სუბსიდიებით სამრეწველო ზონებში ინფრასტრუქტურის შექმნისათვის ფარავენ კომპანიების ხარჯების 60%-ს. მთლიანად ჩეხეთსა და უნგრეთში სამრეწველო წარმოებაში უცხოური ინვესტიციები შეადგენენ მთლიანი კაპიტალის 1/3-ს. ჩეხეთში ინვესტიციების 41% მიმართული იყო მანქანათმშენებლობაზე, 14% – მეტალურგიულ და ლითონდამმუშავებელ დარგებზე, 11% – კვებისა და 7% – თამბაქოს მრეწველობაზე. უნგრეთში მთლიანად შემოსული ინვესტიციების საერთო მოცულობიდან 2011 წელს 40%-ზე მეტი მოდიოდა მრეწველობაზე. მათ შორის საავტომობილო მრეწველობაზე – 11,3%, ქიმიურ მრეწველობაზე – 7,6%, კვების – 6%. ამასთან აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების 1/3 უნგრეთში შემოსულია გერმანიიდან.

ინვესტიციების მართვისა და დახმარების საინსტიტუციო ფუნქცია ნებისმიერ ქვეყანაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინვესტიციათა მოზიდვის საქმეში. მსოფლიოში არსებობს საინვესტიციო ორგანიზაციათა მრავალფეროვანი მოდელები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოში.

საქართველოს მსგავსი, პატარა, რესურსების სიმდიდრით არც თუ ისე გამორჩეული ქვეყნებისათვის საინვესტიციო პროცესების განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური განვითარებისა და ამ პროცესების შემდგომი შენარჩუნებისათვის.

საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას დიდ ძალისხმევას ახმარენ ადგილობრივი მთავრობა და საერთაშორისო სტრუქტურები. სწორედ მათი უშუალო მონაწილეობით იქმნება ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ბაზა. უცხოური ინვესტიციების შესახებ 1995 წელს მიღებული კანონის შესაბამისად, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, უცხოელ ინვესტორებს დაუწესდათ შეღავათები. ევროკავშირის მიერ „ტასის ფარგლებში“ განხორციელებული დახმარების პროგრამა ფაქტობრივად არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის რეალური ობიექტი. ეკონომიკის სამინისტროში არსებობს ინვესტიციათა განყოფილება, რომელიც პასუხს აგებს სახელმწიფო ინვესტიციების დაგეგმვაზე ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ჯერ კიდევ არაა შექმნილი სათანადო ხელსაყრელი გარემო, რასაც შემდეგი მიზეზები განაპირობებს: პოლიტიკური არასტაბილურობა, კანონებსა და მიღებულ აქტებში ჯერ კიდევ არსებული ბუნდოვანება, კრიმინალური სიტუაცია,

მართვის რთული სისტემა ერთობლივი კაპიტალით შექმნილ საწარმოებში, ქართველ პარტნიორთა მხრიდან გადახდისუნარიანობის დაბალი დონე და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მაკროეკონომიკური გარემო ვერ პასუხობდა არსებულ მოთხოვნებს, მაინც იზრდებოდა შემოსული ინვესტიციების მოცულობა. ასე მაგალითად, 2007 წელს შემოვიდა 1 მლრდ 604 მილიონი დოლარი, ხოლო 2008 წელს – 2,17 მილიარდზე მეტი. 2007 წლიდან 2011 წლის ჩათვლით 5 მილიარდამდე ინვესტიცია არის შემოსული, მაგრამ, იმის გამო, რომ ქვეყანაში ვერ მოხერხდა ინვესტიციების მოზიდვისათვის სათანადო პირობის შექმნა, იკლო ინვესტიციების რაოდენობამ. 2009 წელს მან შეადგინა 658 მილიონი, ხოლო 2010 წელს 533 მილიონი დოლარი. მოტანილი ციფრები კარგად აჩვენებს თუ როგორი საინვესტიციო გარემოა საქართველოში. ამიტომ საჭიროა მაქსიმალურად მჭიდრო კავშირი ინვესტორ ქვეყნებთან, რათა დავაინტერესოთ და მოვიზიდოთ ისინი. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ინვესტიციების სულ უფრო მზარდი ნაკადი მიემართება ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე თითქმის ყველა ქვეყანაში. ასეთი ტენდენცია იმითაა განპირბებული, რომ სათანადო მოცულობით ინვესტიციების გამოყოფის გარეშე ყოველგვარი ინოვაციური იდეა, რაოდენ შთამბეჭდავიც უნდა იყოს იგი განუხორციელებელ ოცნებად დარჩება. რაც უფრო მეტი რაოდენობით გამოიყოფა ინვესტიციები ამ დანიშნულებით, მით უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება ტრანსფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შემდგომი განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, საქართველოც არ უნდა დარჩეს ამ პროცესების მიღმა. ყველა სახელმწიფო, რომელიც იღებს ინვესტიციებს, უნდა ითვალისწინებდეს თავისი ქვეყნის ეკონომიკასა და პოლიტიკაზე მათი ზეგავლენის შესაძლო დადებით და უარყოფით ასპექტს იმისათვის, რომ სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული. მიუხედავად უცხოური ინვესტიციების გარკვეული მიმზიდველობისა, მათი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძლება სხვაგვარადაც შეფასდეს. ერთი მხრივ, ინვესტიციების ქვეყანაში შემოსვლა ხელს უწყობს შიდა რესურსების დეფიციტის შემცირებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ბიზნესის წარმოების ახალი სტრატეგიების დანერგვას, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოელმა ინვესტორებმა შეიძლება ადგილობრივი წარმოება მნიშვნელოვნად შეზღუდონ. ამიტომ ინვესტიციების განთავსების სფეროს უნდა კარნახობდეს არა დამბანდებელი, არამედ – მიმღები. თუმცა, ეს შეზღუდვა ძირითადად მოკლევადიანი ხასიათისაა და სახელმწიფოს მიერ სათანადო საინვესტიციო პოლიტიკის გატარების პირობებში ადვილად შეიძლება აღმოიფხვრას. გამოყენებული ლიტერატურა:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიტმანი ლ. ჰ. ჯონკი მ. დ. ინვესტიციბის საფუძვლები. თბ., 2008.
2. კასრაძე ნ. ინვესტიციების ეფექტიანობის ფაქტორები ტრანსფორმირებად ეკონომიკაში, ჟურნ.: „ეკონომიკა“, №6, 2005.
3. Новицкий Н. Ориентиры инвестиционной деятельности. «Экономист». №3, 2011.
4. Аналитические обзоры, ТИСИ, №3, М., 2011.